ხელშეკრულება №____21__

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, **შპს „მეგა ჰოულდინგ" ს/კ 405237765** (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მარიამ მამუკაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარბის საჯარო სკოლა** (შემდგომში - შემსყიდველი) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია თვალსაჩინოებები (CPV:22114300) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულებას შეადგენს 236.60 (ორასოცდათექვსმეტილარიდასამოცითეთრი) ლარი

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში შემსყიდველთან შეთანხმებულა დგილზე.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის **მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 30 ნოემბრამდე** (ხელშეკრულების მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების მიღების ვადას)

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარბის საჯარო სკოლა
ს.კ:218049216

მის : ქ. გორი, სოფ.კარბი
ტელ:**577922565**
დირექტორი
ნინო კოლოტაშვილი
_____
(ხელმოწერა) ბ.ა

მიმწოდებელი:

შპს „მეგა ჰოულდინგი“
ს/კ: 405237765
მის.: ქ. თბილისი
ტელ.: 558253153/555751221

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა//ნ: GE04BG0000000020840800

დირექტორი
მარიამ მამუკაშვილი
_____
(ხელმოწერა) ბ.ა

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა 07.10.2019

CPV 22114300 - თვალსაჩინოებები

№	საქონლის აღწერილობა	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთ ო ფასი (ლარი
1	ქიმიური რეაქციის სახეები სკოლებისთვის	ცალი	1	19.70 GEL	19.70 GEL
2	გეომეტრიული ოპტიკა სკოლებისთვის	ცალი	1	19.70 GEL	19.70 GEL
3	წონასწორობის სახეები სკოლებისთვის	ცალი	1	19.70 GEL	19.70 GEL
4	ადამიანის ჩონჩხი სკოლებისთვის	ცალი	1	19.70 GEL	19.70 GEL
5	წნევა (თვალსაჩინოება სკოლებისთვის)	ცალი	1	19.70 GEL	19.70 GEL
6	ნივთიერებათა მასის მუდმივობის კანონი	ცალი	1	19.70 GEL	19.70 GEL
7	ფოტოსინტეზი (თვალსაჩინოება სკოლებისთვის)	ცალი	1	19.70 GEL	19.70 GEL
8	ელექტრული მოვლენები	ცალი	1	19.70 GEL	19.70 GEL
9	მათემატიკის თვალსაჩინოება სკოლებისთვის	ცალი	1	19.70 GEL	19.70 GEL
10	96 ძირეული ზმნა(ინგლისური)	ცალი	1	19.70 GEL	19.70 GEL

11	16-ვე დროის უღლება და მოდელური ზმნები	ცალი	1	19.70 GEL	19.70 GEL
12	ქართული ენის თვალსაჩინოება სკოლებისთვის	ცალი	1	19.70 GEL	19.70 GEL
	სულ				**236.60 GEL**

მიღება-ჩაბარების აქტი

„7“ ოქტომბერი 2019 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ **შპს „მეგა ჰოულდინგ“** წარმოდგენილი მისი დირექტორის **მარიამ მამუკაშვილის** სახით, ხოლო მეორეს მხრივ **სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარბის საჯარო სკოლა** შემდგომში - შემსყიდველი), ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა, ხოლო შემსყიდველმა მიიღო შესყიდვის თაობაზე ზედნადებით განსაზღვრული საქონელი, რომლის ღირებულებაც შეადგენს 236.60 ლარს

შემსყიდველი:

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარბის საჯარო სკოლა
ს.კ:218049216

მის : ქ. გორი, სოფ.კარბი
ტელ:**577922565**
დირექტორი
ნინო კოლოტაშვილი

_____

(ხელმოწერა) ბ.ა

მიმწოდებელი:

შპს „მეგა ჰოულდინგი“
ს/კ: 405237765
მის.: ქ. თბილისი
ტელ.: 558253153/555751221

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა//ნ: GE04BG0000000020840800

დირექტორი
მარიამ მამუკაშვილი

_____

(ხელმოწერა) ბ.ა